# სახალხო გაზეთი

№ 173 ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 173

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ელირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალ-კე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## ტფილისის სახაზინო თეატრი
## 21 დეკემბერს 1910 წელს
# იუბილე კ. მესხისა.
## სადღესასწაულო წარმოდგენა

ბილეთები არავის გაეგზავნება. ამ თავითვე ისყიდება ქართულ თეატრის კასსაში. (4—1) თავმჯდომარე დრამ. საზოგადოებისა ნ. გ. ქართველიშვილი.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
## სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

პარასკევს, 3 დეკემბერს, ქ. ფოთში სასაფლაოს ეკკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის
## ილარიონ (ილიუშა) ალექსანდრეს ძის საბახტარიშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა ლისა და ალექსანდრე საბახტარიშვილები შვილიშვილით. (1—251—1)

ტფილისის სათ.-აზ. ბანკის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას რომ 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათ., ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზე, სახლი № 11), გადახდილ იქნება პანაშვიდი ბანკში მოსამსახურე
## ბექან იოსების ძის მჭედლიშვილის
სულის მოსახსენებლად. (1—251—1)

# რ. ა. პორტუგალოვისა
ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან
# დიდ ძალი
ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები
იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები
კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკუთარ მისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.
ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. 50—57—50)

# ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 500.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.
მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.
მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1/2}$ ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.
ფირხალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.
პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^{1/2}$ ს.
სობოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—340)



ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 30.
ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, 1910 წელს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ამ სეზონში:
I
## ირინეს ბედნიერება
სცენები სოფლის ცხოვრებიდან 2 მოქმ. დ. კლდიაშვილისა.
რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.
II
## დავიდარაბა
კომედია 2 მოქმ. დ. ერისთავისა.
რეჟისორი ვ. აბაშიძე.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვიქტორელი, ა. გარგარეთელი, ღ. ლეჟავა, ლოლუა, პიერეტა, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გუნია, ნ. გვარამაძე, მდივანი, მამფორია, კ. მესხი, გ. მატარაძე, ი. ყიფიძე, ზარდალიშვილი კ. შალიკაშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად: „ორი ვნება“, „ქალის ჭკუა“, ნორჩი თაობა“, „მსხვერპლი“ და სხვ.
მოკლე ხანში დანიშნულია ვ. აბაშიძის ბენეფისი.
(2—2, ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება.

წიგნის გამომცემელ
## „ალიონი“-საგან
ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ის სამი წიგნი, რომლებიც ხელის-მომწერთ დავპირდით, დანიშნულ დროზე ვერ გამოვეცით. ამიერიდან კი ახლო-მომავალში [illegible] დაიბეჭდება და დაურიგდება ხელის-მომწერთ. გამომცემლობის გამგე თავის თავზე ღებულობს ყოველგვარ პასუხის-გებას ხელის-მომწერთა წინაშე, რომელთაგან შემოტანილი ხელმოსაწერი თანხა უზრუნველყოფილია და მოხმარდება მხოლოდ ხსენებულ წიგნების გამოცემას. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ ბ-ნნთ ხელის-მომწერთ, ნუ შეაწუხებენ ხშირის შეკითხვებით ამ წიგნების შესახებ ბ-ნნთ აგენტებს (კვიტანციის გამყიდველთ).
(3—253—1) პატივისცემით წიგნ. გამომც. „ალიონი“-ს გამგე: ვასილ ბადილაძე.

## ბუნებრივი კახური ღვინოები
კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან
## ძმ. ხელაშვილებისა.
სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.
სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.
ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.
(20—195—9) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ საათ.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წ—6.—503)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში
იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—27)

**ექიმი რ. დ. მაჭავარიანი**
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—45

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**
სწავლობს შინაგან, ბავშვთ და ქალის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიეუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—37)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—275

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი**
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—21)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
## მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—96)

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ნაშრომი (3):
რუსთაველის გარშემო. ქართული ბიბლია მე VI საუკ. აღწერა, ტექსტები, ლექსიკონი. (5—250—1)


## დოკუმენტების მიხედვით

I

„რეალურ პოლიტიკის“ მომხრეთა გუნდი თანდათან იზრდება ჩვენს საზოგადოებაში. უფრო და უფრო თამამდებიან ამ ლოზუნგის მოტრფიალენი. და ეს „რეალური პოლიტიკა“ ჩვენს განსაკუთრებულ პირობებში სრულიად განსაკუთრებულად არის განმარტებული და გათვითცნობიერებული. იგი შესდგება ორ მთავარ დებულებისაგან. პირველი დებულება არის „სახელმწიფოებრივობა“ და მისი საჭიროების დაცვა ყოველგვარ საფრთხესაგან. მეორე დებულება არის ქართული ეროვნულ ინტერესების შეგუება ამ „სახელმწიფოებრივის პრინციპთან. [illegible] იგია ნამდვილი მამულიშვილი, ნამდვილი საზოგადო მოღვაწე და ნამდვილი მცველი ქართულ ეროვნულ ინტერესებისა.

„რეალურ პოლიტიკის“ დედა აზრის გაგებისათვის საჭიროა იცოდეს მკითხველმა, რომ აქ სახელმწიფოებრივობის მცნება, მისი ჩვეულებრივი და ბუნებრივი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. არავის ეგონოს, რომ აქ სახელმწიფოებრივობას იცავენ ანარქიზმის წინაამდეგ. არა, ჩვენებურ რეალურ პოლიტიკის მომხრეთა შემეცნებაში სახელმწიფოებრივობას უპირისპირდება ლიბერალიზმიც, დემოკრატიზმიც, სოციალიზმიც. ერთის სიტყვით, ყოველივე, რაც ძველ პოლიტიკურ მმართველობის ფორმას ეწინაამდეგება. და ამიტომ კონსტიტუციონალისტები, რა გინდა ზომიერნი იყვნენ ისინი, ჩარიცხულნი არიან სახელმწიფოებრივობის მოწინაამდეგეთა რიცხვში.

უნდა ვსთქვათ, რომ ეს პოლიტიკური „სიბრძნე“ პურიშკევიჩ-მარკოვების წრეებში იშვა რუსეთში და მშობლიურ ნიადაგზე ამ სიბრძნის გადმოტანის და გადმონერგვის ინიციატივა და დამსახურება მიუძღვის იმ ჯგუფს, რომელიც გაზეთ „ზაკავკაზიეს“ გარშემო ტრიალებს. რაც შეეხება პოლიტიკურ ფორმულის მეორე დებულებას—ქართულ ეროვნულ ინტერესების შეგუებას სახელმწიფოებრივ პრინციპთან—იგი ნასესხები არ არის, იგი ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და მისი ნათლიმამები თავად-აზნაურთა კრებები და დეპუტატთა საკრებულოებია. ეს ფორმულა ახალი არ არის. მისი წარმოშობის ისტორია ძველის ძველია. მხოლოდ ძველად (ამ ოცდაათის წლის წინად, მაგალითად), მას სხვაგვარად, უფრო სადად და მარტივად ჰსახავდნენ და არ აბნელებდნენ მის შინაარს თანამედროვე პოლიტიკურ ტერმინოლოგიის სიტყვებით. იმ დალოცვილ დროში სახელმწიფოებრივობაზე და სახელმწიფოებრივ პრინციპებზე არ ლაპარაკობდნენ. მაშინ ხმარებაში იყო უფრო გასაგები სიტყვები,—მეფე, ერთგულება, უმაღლეს სურვილის და აზრის აღსრულების საჭიროება და სხვა ამგვარი.

მაგრამ, მიუხედავად ამ გარეგნულ სხვადასხვაობისა, დღეს აშკარად გამოცოცხლდა ის პოლიტიკური მრწამსი, რომლითაც თავი მოსწონდა ქართველ თავად-აზნაურთა ინტელიგენციას მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეს ჩვენი თავად-აზნაურობა თავის სოლიდარობას უცხადებს რუსეთის საზოგადოების იმ ელემენტებს, რომელნიც იცავენ ძველ რეჟიმს და რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ლიბერალ და დემოკრატიულ რუსეთს. და სწორედ ამ სოლიდარობის ნაყოფია ის, რომ დღეს ჩვენ ში [illegible] რებაში. სახელმწიფოებრივობის დარაჯნი ვართო, ამაყად გაიძახიან ეხლა ჩვენში. ყველამ იცის, რომ ეს ნიშნავს ძველ მრწამსის გამოცოცხლებას და ამასთან ერთად „კრამოლასთან“ ბრძოლის სურვილს.

ახალი ფორმაციის პოლიტიკოსებს, როგორც ვხედავთ, იმ ხასიათის პოლიტიკურ ფორმულას აღიარებენ, რომლის ზნეობრივი და პოლიტიკური ღირებულება დიდი ფასისა არ უნდა იყოს. არ არის იგი დიდი ფასისა არც თვით რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესების თვალსაზრისით, არც საქართველოს ეროვნული ინტერესთა მიხედვით. ეს აშკარა გახდება ჩვენთვის, თუ ცხოვრების და ისტორიის ფაქტების მიხედვით გავითვალისწინეთ ყოველივე ის, რაც გამომდინარეობს ამ ხასიათის პოლიტიკურ აზროვნების ცხოვრებაში გატარებისაგან.

ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია ამ საგნის შესახებ. რამდენადაც შეგვეძლო, ყოველთვის ვცდილობდით კონკრეტული მაგალითებით განგვემარტა აღძრული საკითხი. დღესაც ხელში გვიჭირავს რამდენიმე საყურადღებო დოკუმენტი. ვეცდებით ამ დოკუმენტების საშუალებით კიდევ ერთხელ ავწონ-დავწონოთ წარსულ საუკუნის მოღვაწეთა საქმიანობა და მოღვაწეობა.

სკოლის საკითხი ერთ უმთავრეს საკითხთაგანია ჩვენს ცხოვრებაში. ქართველი ინტელიგენციის და თვით თავად-აზნაურობის ყურადღება არა ერთხელ იყო მიპყრობილი ამ საკითხის ჯეროვანად განმარტებაზე. ვრცელი ისტორია დაიწერება იმის შესახებ, თუ რა თქმულა და დაწერილა ჩვენში სკოლის ჯეროვანად მოწყობის და დაყენების შესახებ. ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და თავად-აზნაურთა შუამდგომლობანი სკოლის რეორგანიზაციის საჭიროების თაობაზე. იაკობ გოგებაშვილს ჩვენ ამ ჟამად არ შევეხებით. ჩვენ გვაინტერესებს თავად-აზნაურთა შუამდგომლობანი და ამ შუამდგომლობათა საბოლოო ბედი.

ერთს ამგვარს დოკუმენტში (1885 წლისა), რომელსაც ჰქვიან „Объяснительная записка къ ходатайству Грузинскаго Дворянства Тифлисской Губерніи о необходимыхъ измѣненіяхъ въ организаціи мѣстныхъ учебныхъ заведеній“, ვკითხულობთ: „საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების დღიდან მართლ-მადიდებელ რუსეთთან უკვე ოთხმოცდა ოთხი წელიწადი გავიდა. და ამ ხნის განმავლობაში მეფის წყალობა არ აკლდა ჩვენს ქვეყანას. დიდძალი სისხლი დაღვარეს რუსებმა საქართველოს გულისათვის, ბევრი მილიონი დაიხარჯა უშიშრობის უზრუნველსაყოფად, დაიცვა რუსეთმა ჩვენი ქვეყანა მუსულმანთა ძალმომრეობისა და პირუტყვობისაგან, თავის მზრუნველობას განუწყვეტლივ არ აკლებდა მას. ქართველებიც თავიანთის მხრივ ძმურად ეკიდებოდნენ რუსებს და მათთან ერთად ღვრიდნენ სისხლსა საერთო სამშობლოს დაცვის დროს. და აი მშვიდობიანობის და დაწყნარების ხანაში, რომელიც დამყარდა ჩვენში დიდებულ რუსის ხალხის უანგარო მსხვერპლის წყალობით და აგრეთვე თვით ქართველების თავგანწირულ გმირობის მოცადინეობით, და რომელსაც ხელი უნდა შეეწყო საქართველოს სულიერ აღორძინებისათვის,—ამ უშიშრობის დროში, როდესაც თითქმის საშუალება იყო დაუბრკოლებლივ განვითარებისთვის, მოხდა, საუბედუროდ, სრულიად წინაამდეგი რამე...“

კითხულობთ ამ უკანასკნელ დასკვნას და არ გესმით, რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი მოულოდნელი ამბავი, როდესაც ჩვენ ქვეყანას არც მტერი ემუქრებოდა და არც მფარველის წყალობა აკლდა. და თქვენდა განსაცვიფრებლად შუამდგომლობის დამწერი განაგრძობს: „ის, რასაც საქართველო ასეთის გულმოდგინებით ინახავდა [illegible] გულისთვის ამოდენა ტანჯვა განიცადა, რაც შეუნახავს იმ დრომდე, როდესაც რუსეთი თავის ზრდაში კავკასიონის მთებს მოადგა და მართლ-მადიდებელი საქართველო თავის მფარველობის ქვეშ მიიღო-ყოველივე ეს აშკარად დაკნინდა და მას გადაგვარების ელფერი დაეტყო. შეირყა ენა და სარწმუნოება, თავის ეროვნული ხასიათით, ეს სულიერი განძი ქართველ ხალხისა, შეირყა მართლ-მადიდებელ რუსის ხალხის **უზენაეს** მფარველის სურვილის წინააღმდეგო“.

კიდევ გიკვირთით, რატომ უნდა მომხდარიყო ეს, როდესაც თვით უზენაეს მფარველის სურვილიც იყო ჩვენი ვინაობის დაცვა და შენახვა. მაგრამ, როდესაც გაიხსენებთ, რომ საქმე გაქვთ თავად აზნაურულ შუამდგომლობასთან, ყოველივე ნათელი ხდება თქვენთვის. ჩვენი თავად აზნაურობა, რუს-სლავიანოფილების მგზავრად, ყოველ სიდუღჭირეს მოხელეებს აბრალებდა და თვით ფორმა კი ძველის პოლიტიკურის რეჟიმისა მის თვალში არასოდეს არ უნდა ყოფილიყო შეუფერებელ ნიადაგად ეროვნულ კულტურის აღორძინებისათვის. და წახალისებული თავისი რწმენით, რომ ყოველი მისი მოთხოვნილება და საჭიროება დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებული იქნება, ოღონდ კი უმაღლესმა მთავრობამ გაიგოს მისი ხმა და ღაღადი, ჩვენი თავად-აზნაურობა მთავრობის საყურადღებოდ საგულისხმო მოხსენებებს და წერილებს ამზადებს სკოლის საკითხის შესახებ.

აღნიშნული შუამდგომლობა ისე ფართოთ ეხება სკოლის საკითხს ჩვენში, რომ მეტი არ იქნება დავასახელოთ და ჩამოვთვალოთ აქ მთავარი მუხლები თავად-აზნაურულ პროგრამისა. 1, კლასიკურ გიმნაზიებში, რეალურ სასწავლებელში, კადეტთა კორპუსში, სამასწავლებლო ინსტიტუტში და საშუალო ქალთა ყველა სასწავლებლებში საჭიროა დაწესება ქართულ ენის, სიტყვიერების და ისტორიის კათედრისა ქართულს ენაზედვე სწავლის მოწყობით... 2, სამასწავლებლო სემინარიებში, რომელნიც ამზადებენ მასწავლებლებს ქართველ მცხოვრებთათვის, საჭიროა გაძლიერება ქართულ ენის და სიტყვიერების სწავლებისა. და ქართულადვე უნდა იყოს სწავლა ზოგიერთ საგნებისა, რომელთაც ვიწრო კავშირი აქვთ სახალხო სკოლების სამოსწავლო [illegible] 3, [illegible] სასწავლებლებში და სამოქალაქო სკოლებში უნდა იყოს ქართველებისათვის ყველა საგნების ქართულ ენაზედ გავლა, გარდა რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიისა... 4, სახალხო სკოლა ორ ჯგუფად იყოფება—ერთ კლასიანი და ორკლასიანი. პირველი, სამი წლის კურსით. მეორე, ექვსი წლის კურსით. ერთ კლასიანში რუსული არ არის, ორ კლასიანში არის. საკმარისი გაკვეთილიც უნდა იყოს ამისათვის. ხოლო ყველა საგნების გავლა სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს. 5, ტფილისის სასულიერო სემინარიაში, ამ სასწავლებლის აზრისა და დანიშნულების მიხედვით, აუცილებლივ საჭიროა დამოუკიდებელი, შტატში ჩარიცხული, კათედრა ქართულ ენისა, ქართულ ეკლესიის ისტორიისა, სასულიერო და საერო ლიტერატურისა. სწავლა ქართულად, და გარდა ამისა ღვთის-მეტყველების ზოგიერთა საგნის გავლაც ქართულად უნდა იყოს, 6, სასულიერო და ქალთა საეპარქიო სასწავლებელში ყველა საგნების სწავლება უნდა იყოს ქართულად. რუსულად რუსეთის გეოგრაფია, და საეკლესიო და საერო ისტორია და რუსული ლიტერატურა. 7, საჭიროა შემუშავება შესაფერ პროგრამებისა. და ქართული ენა ყველა კლასებში უნდა იყოს შემოღებული. 8, სასურველია ქართველ მოწაფეებს განთავისუფლება (გიმნაზიებში) ბერძნულ ენის სწავლებისაგან და ბერძნულ ენის ნაცვლად უფრო ბეჯითად ასწავლონ ქართული და რუსული ენა. უნივერსიტეტში შესვლის ნებაც ჰქონდეთ. 9, სახაზინო ყველა სასწავლებლებში ტფ. გუბერნიისა საჭიროა გახსნა რაციონალურად მოწყობილ მოსამზადებელ კლასებისა, სადაც ანგარიშს გაუწევენ ადგილობრივ პირობებს.

აი მოკლედ სასკოლო პროგრამა თავად-აზნაურობისა. ამ პროგრამის დაწერის ოცდახუთის წლის შემდეგ, გარემოებით შეხუთულებს თითქოს გვეჩოთირება ასეთი თამამი ფრთის გაშლა. რუსეთის პარლამენტში დღეს ჩვენი დეპუტატები სახალხო სკოლების შესახებ თუ ჰბედავენ ლაპარაკს, სხვა რამეზე ოცნებაც შეუძლებელია. დიაღ, პროგრამა ფართოა. ნაყოფი კი შუამდგომლობისა—არავითარი. რატომ? დააკვირდით იმ მოსაზრებას, რომლითაც ხელმძღვანელობს თავად-აზნაურობა თავის შუამდგომლობაში და ამ „რატომსაც“ გაიგებთ.

საქმე ის არის, რომ 21 აპრილს 1885 წ. რუსეთის თავად-აზნაურობის სახელზე გამო[illegible] ამ მანიფესტში, სხვათა შორის სწერია: „რუსეთის თავად-აზნაურობამ კვალინდებურად უნდა შერჩეს პირველი ადგილი ჯარის სარდლობაში (**въ предводительствѣ ратномъ**), ადგილობრივ მმართველობასა და სასამართლოში. იგი უნდა ზრუნავდეს ხალხის საჭიროებაზე, ამაგრებდეს პირადის გავლენით სარწმუნოებას და ჰფიქრობდეს საფუძვლიან „ნიადაგზე დამყარებულ ხახლის განათლებაზე“. მის იმპერატორობითი უდიდებულესობის ამ სამღვთო სურვილს აღსრულების ნიშნად, ვკითხულობთ ჩვენ შუამდგომლობაში,—და იმ უკიდურეს ნდობის განსამართლებლად, რომელსაც უცხადებენ რუსეთის თავად-აზნაურობას, ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც ხელმძღვანელობს უუქვეშევრდომილეს ერთგულების გრძნობებით მეფისა და სამშობლოსადმი და რომელიც გამხნევებულია უმაღლეს რესკრიპტის მოწოდებით,—თავად აზნაურობა თავის სამღვთო ვალადა რაცხს იშუამდგომლოს ტფ. გუბერნიაში არსებულ სკოლების რეორგანიზაციის შესახებ, რათა ქართველებში გამაგრდეს სარწმუნოებრივი ჭეშმარიტება და სწავლის სალი საფუძველი“.

დააკვირდით ამ გულუბრყვილობას. რესკრიპტი აქეზებს რუსეთის თავად-აზნაურობას და ქართველები არღვევენ ეროვნულ სკოლის შემოღების გეგმას. რესკრიპტს თავად-აზნაურობა ჰყავს მხედველობაში იმდენად, რამდენადაც იგი რუსია. ჩვენები კი ამაზე ყურს იყრუებენ და აქაო და, უფლებებში გათანასწორებულნი ვართო, იმ ხასიათის შუამდგომლობას აწვდიან მთავრობას რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკას არა-რუსთა მიმართ. თავიანთ თავს ატყუებდნენ შუამდგომლობის დამწერნი, თუ მართლა შეპყრობილნი იყვნენ ამ უცნაურ პოლიტიკურ რომანტიზმით, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, რომ აღნიშნული შუამდგომლობა ამ სიტყვებით თავდება: „ქართველი თავად-აზნაურობა იმედოვნებს, რომ ეს მისი შუამდგომლობა, რომელსაც ესოდენი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთ წოდებისთვის, არამედ მთელ მართლ-მადიდებელ საქართველოსათვის, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა სრული ერთგულება რუსეთის ტახტისადმი, რომ ეს შუამდგომლობა ჩაეთვლება მას, როგორც უუქვეშევრდომილეს მოვალეობის აღსრულება თავის მონარქის და სამშობლოს წინაშე“. [illegible] რომ, ქართულ [illegible] სკოლის შესახებ ზრუნვა მონათლული და განმარტებულია როგორც უუქვეშევრდომილეს მოვალეობის აღსრულება! შესანიშნავი სტილი და ბალღური ოცნება თუ გინდათ ეს არის! გეგონებათ, საქმე მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში სწარმოებს და არა მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ ოფიციალური და გაბატონებული სახელმწიფოებრივი აზრი არ იწყნარებს ეროვნულ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტას. და რომ ვინც ერთგულების გრძნობებით ამაყობს, იმას სრულებიდაც არ ეძლევა უფლება მოვალეობის სახელით მონათლვა იმგვარ მოღვაწეობისა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმ ხანებში ჩასახულ რუსეთის სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმსა. ადვილად წარმოსადგენია, რა ღიმილს გამოიწვევდა სადაც ჯერ არსეს უცნაური, უმანკოების ტანთსაცმელში გამოწყობილი გმირულ-რომანტიული ფრაზეოლოგია.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** არჩეულია 191 ლიბერალი, 229 უნიონისტი, 35 მუშათა პარტიისა, 57 რედმონდის მიმდევარი, 6 ობრაიენის მომხრე. ლიბერალებმა 18 ადგილი შეიმატეს, უნიონისტებმა—21, მუშათა პარტიამ—4.

**ბერლინი.** უმაღლეს მუსიკალურ სამეფო სასწავლებლის დარბაზში რუსეთის სათვისტომომ ტოლსტოის პატივის საცემად საღამო გამართა. ცაბელმა ტოლსტოის შესახებ სიტყვა სთქვა.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. პოლონი ფინანსთა მინისტრს ლუკაჩს ეკამათება და უმტკიცებს, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრ პიშონის განმარტება ლუკაჩის განმარტებას არ ეთანხმება. ანგარიშიდანა სჩანს, რომ საფრანგეთში უფრო ხელსაყრელი იქნებოდა სესხის აღება. ავსტრიის ფინანსთა მინისტრმა უპატივცემლოდ მოიხსენია სესხის საქმე. უნგრეთის დეპუტატმა კოლიშერმა ამ სესხს მევახშეობა უწოდა. ფინანსთა მინისტრმა ლუკაჩმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ანგარიში ყალბ ცნობებზეა დამყარებული.

**ურმია.** გუბერნატორი იძულებულია ანარის ჯარი გაიყვანოს. მას შერჩა 300 ცხენოსანი და 560 სარბაზი. დანარჩენები გაიქცნენ.

**ბერლინი.** ბრაზილიიდან მოსულის ცნობებიდანა სჩანს, რომ კობროსის კუნძულზე ზარბაზნით ყველა შენობები დაუნგრევიათ. ქალაქში ბევრი კერძო და საზოგადო შენობაა დაზიანებული. 100 მეტი მოკლულია და დაჭრილი.

მეამბოხეებს 300 მოუკლეს, მთავრობის ჯარს—100.

**რიო-დე-ჟანეირო.** დეპუტატთა პალატამ დაადგინა. საალყო წესები გამოაცხადოს.

**რომი.** ჩრდილო იტალიაში წყალდიდობა მატულობს. მდ. ლაგომაჯიორმა 20 სანტიმეტრზე აიწია, სოფელი ლავენო წალეკილია. მთის ნიაღვარმა სავონის მახლობლად ლიგურიაში რკინის გზის ლიანდაგი წალეკა. ბევრი სახლები სდგას წყალში. ზარალი დიდია.

**მადრიდი.** ესპანიის სხვა და სხვა მხარეს წყალდიდობაა.

**სტოკჰოლმი.** სტოკჰოლმის მედიკურ ინსტიტუტის დაარსების ასის წლის თავის შესრულების გამო ემმანუილ ნობელი საპატიო მედიცინის დოქტორად აირჩიეს.

**ლონდონი.** 5 საათამდე 193 ლიბერალია არჩეული, 24„—უნიონისტი, 36—მუშათა პარტიისა, 54 რედმონდის მიმდევარი და 8 ობრაიენის მომხრე. ლიბერალებს შეემატა 19 ადგილი, უნიონისტებს 23, მუშათა პარტიას—4.

**ფირანი.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრად ნაკი მულ-მულაყი დანიშნეს.

**ურმია.** სულდუზის კაიმაკანმა სოუჯბულაყის თემის თურქთა ყველა ბელადები მოიხმო და ოსმალეთის მფარველობით მათი შეკავშირება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ანზელის ოლქში ოსმალეთს 600 ასკერი ჰყავს, 100 სარბაზი, ორი ზარბაზანი და ორი ტყვიის-მფრქვეველი.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში პოლონი დაბეჯითებით ითხოვს, რომ საფრანგეთის მთავრობამ როდშილდის ჯგუფს საფრანგეთის სესხის პირობები შეატყობინოს უნგრეთის მთავრობის გადასაცემად.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიათა და ფრაქციათა წარმომადგენლებმა თათბირის შემდეგ დაადგინეს: ახლო მომავალში სათათბიროში წარადგინონ კანონ პროექტები: შენობათა ავების თაობაზე, საყოველთაო სწავლის ფინანსიური გეგმა და დუქან-მაღაზიებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების პროექტი, ლოთობასთან საბრძოლველ ზომებზე, 8 მარტის დადგენილ ხარჯთ-აღრიცხვის წესდების შეცვლაზე.

**კიევი.** გზათა სამინისტროს საოლქო სამმართველოს სამეურნეო განყოფილების უფროსი ტუროშოისკი და მისი თანაშემწე ნიკოლსკი გაჩხრიკეს. მიწერ-მოწერა და საბუთის ქაღალდები წაიღეს.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე-იმპერატორს წარუდგა ტფილისის გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი.

# ახალი ამბები

**ტფილისი**

✦ **სახელმწიფო გადასახადი.** წარსულ ნოემბრის განმავლობაში ტფილისში უძრავ მამულების სახე-

# დაკარგული ბედი

(დღიურიდან).

რა უცნაური და რა საცნაურია ადამიანის ცხოვრება!

რა შემთხვევითის აუცილებლობით დაყიალობს ადამიანი მსოფლიოს მკერდზე, მაშინაც კი როდესაც თითქოს განზრახულის მიზნით, შეგნებულად მიისწრაფის ბედის საძიებლად!

იმ უსაზღვრო, თვალ-უწვდენელ ცხოვრების ოკეანეზე, სადაც ათასექვსასი მილიონი ტლუ ნავი ერთდროს დასცურავს, ყველა მათგანი ეძიებს თავის-თავს, თავის სამყაროს; ეძიებს და ირყევა, ირყევა და ეძიებს...

ამ რყევაში, ამ ძიების დროს, ოკეანის ფრთოვანში ინთქება უთვალავი მათგანი, კნინდება, ქუცმაცდება და ალვის ხის ჩამონათალ ნაფოტივით ზღვის ზედა-პირზე ტივტივებს, სანამ მედგარი ტალღა ბოლოთას არ დაჰკრავს და სადმე უგეზო გემით არ გაჰრიყავს...

გარიყავს, ან მთლად შთანთქავს. მთლად შთანთქავს...

ადამიანი ეძიებს თავის თავს, ეძიებს თავის ბედს, თავის ედემს, სიცოცხლის აზრს, თავის ღმერთს!..

იგი ეძიებს თავის ღმერთს თავისში და თავის გარეშე...

ამ ძიებაში, ამ აურაცხელ ნავთა შეხლა-შემოხლაში, ბევრი ნავი ცდება, ცხვირი ეგლება, ანძა ემსხვრევა, მჩატდება და, სტიქიონის განუზომელ თვითნებობის მიხედვით, უაზროდ დაყიალობს აქოჩრილ ზღვის აქაფებულ ტალღებზე.

მაგრამ არის მკვიდრი, ძლიერი, გამძლე ნავიც, რომელიც კოკისპირულ წარღვნისა და ოკეანის აყირავების დროსაც მტკიცედ მიისწრაფის თავისის გზით...

მის ლტოლვას ვერაფერი ვერ შეაჩერებს...

მის ძალოვანებას ვერ უძლებს ვერც ზღვა-ოკეანე, ვერც ჭინჭველებივით აფუტფუტებულ ნავთა შეხლა-შემოხლა, ვერც ყოვლად შემუსვრელი, დამანგრეველი გრიგალი...

იგი ძალოვანი, მედგარი, თავგანწირული, დოსტოღრივ მიაპობს ზღვის ტალღებს, გზად გახირულ ნავებს ურიდად ეხეთქება, აქუცმაცებს, რომ თავისუფალი გზა გაიგნოს; ფთაქცეულ ტალღებს გულს უსერავს, რომ მეორე ფთაქცეულში ამოჰყოს თავი და გაინავარდოს აღთქმის ქვეყნამდე, სატრფიალო სამყარომდე, დაკარგულ ბედის ფიანდაზამდე.

ასე ეძიებს ადამიანი თავის თავს, თავის ბედს, თავის სამყაროს.

მხოლოდ რჩეულნი პოულობენ თავის თავს, მხოლოდ მედგარნი შეიქმნიან თავის სამყაროს, მხოლოდ ძლიერნი მიიხელთავენ თავის ბედს, მხოლოდ მეუფენი თავისის სამყაროისა შეიქმნიან ღვთაებრივს უკვდავებას...

„ეძიებდეთ და ჰპოვოთ!“—სთქვა ბრძენმა. რა გულის მომფინე სიღრმეა ამ სიტყვებში!

„ეძიებდეთ და ჰპოვოთ!“...

მაგრამ ჯერ ჰპოვეთ თავი თქვენი, ჯერ ჰპოვეთ გზა თქვენი, ჰპოვეთ სამყარო თქვენი, ჰპოვეთ ბედი თქვენი, ჯერ დაეუფლეთ სამყაროსა თქვენსა და ჰპოვებთ ღვთაებრივ, გარდაუვალ უკვდავებასაც...

„ეძიებდეთ და ჰპოვოთ“!..

***

სიყრმიდანვე ვეძიებ ჩემ დაკარგულ ბედს.

დაკარგულს მეთქი, ვამბობ, იმისთვის, რომ იგი დაკარგულია, მიჩქმალულია, გადამალულია ცხოვრების ორომტრიალში და მელის, მრწამს მთელის არსებით, რომ მელის, როგორც სასძლო-სასიძოს...

მელის იმისათვის, რომ ის ჩემი ბედითი ვარსკვლავია, ჩემი კუთვნილებაა, ჩემი წილხდომილი და ჩემთვის განმზადებული ულუფაა, ჩემი ანაწერია...

და სანამ მას არ მოვიხელთავ, სანამ გულში არ ჩავიკრავ, სანამ ჩემს არსებაში მთლად არ შევისუნთქავ, მანამდე ვერ მოვისვენებ, ვერ დავცხრები...

„ეძიებდეთ და ჰპოვოთ“!..

მეც ვეძიებ მას, ჩემს დაკარგულ ბედს, ვეძიებ შინ თუ გარედ, დღისით თუ ღამით, მიმტკნარებულ მყუდროებაში თუ აფორიაქებულ ქოხმახებში, მთის წვერვალოზე თუ ოკეანის ძირზე, ყვავილოვან მდელო-კორდებზე თუ გახრიოკებულ უდაბნოში...

ვეძიებ, მაგრამ ამაოდ...

ვეძიე და ვერ ვპოვე!..

დღეს მაინც ახირებულის დაჟინებით მომწყურდა ძიება, მომწყურდა როგორც საჰარის უდაბნოში კათთვის არდადეგებში დასიცხულ ლომს რაიმე ოაზისი, სამოთხე, ცივცივი წყარო...

არა, ჩემი წყურვილი უფრო მტანჯველი და მკაცრი, უფრო უდიერი და აუტანელი იყო... იგი უფრო ტანტალის წყურვილს ემსგავსებოდა, რომელიც ღმერთებმა უცნაურის, მაგრამ უდიერის სატანჯველით დასაჯეს: იგი ყელთამდე წყალში იდგა და ხახაგამშრალს მისი დალევა კი არ შეეძლო...

მხოლოდ ბოროტი, გულღვარძლი ადამიანი თუ შეიქმნიდა ასეთ ღმერთებს!..

მაგრამ, განა ცხოვრება—უგრძნო გულქვა, განურჩეველი ცხოვრება, ეს ქვადქცეული სვინქსი,—უფრო უდიერი, უფრო მკაცრი, უფრო შეუბრალებელი არ არის, თვით გაბოროტებულ, გამხეცებულ ადამიანზე, რომელსაც მხოლოდ იმისათვის იხსენიებენ ადამიანად, რომ ადამიანის სახე აქვს!?

დიაღაც!

მე კი მაინც ვეძიებდი წყურვილის მოსაკლავ წყაროს, აღშფოთებულ გონების დამამშვიდებელ სამყაროს, ვეძიებდი ორფეხა ცხოველებში ადამიანად წოდებულ არსებას,—ადამიანს, ნამდვილს ადამიანს, რომლის სიტყვაც საქმეს უდრიდეს, ფიქრი—გრძნობას, გრძნობა—გარემოებას, ძალ-ღონე — ნამოქმედარს...

მაგრამ ამაოდ!.. დღემდე ნაზარეველის სიბრძნე ვერ დამიდასტურებია.

ვიძიე და ვერ ვპოვე!..

იქნება ძიება არ ვიცოდი? იქნებ იქ არ ვეძებდი ადამიანს, სადაც იგი ნამდვილად იყო? იქნება ჯერ თვიც ჩემი არ მეპოვნა, ან სადმე უღრან ტყეში მომწყურდა მისი პოვნა, იმ დაბურულ ტყეში, სადაც საშუბისტაროზე წამოსული მკათათვის ცხრათვალა მზეც ვერ ჩააღწევდა?..

რა ბრძანებაა!..

ძიება დავიწყე სწორედ იმ წუთიდან, როდესაც მე და კუჰს შეურიგებელი ჩხუბი მოგვივიდა.

***

— ეს იყო გუშინ, მეშვიდე სართულის ჩარდახ ქვეშ მანსარდში...

დიდ ამ ტურფა მანსარდში მოხდა აყალ-მაყალი ჩემსა და კუჰს შორის...

მხოლოდ იგი იყო ერთად-ერთი მოწმე ჩვენის გაავზნევებულის დავისა.

ღმერთი, ხუცთა მიერ მოვარაყებული ღმერთი მეტად შორს იყო ჩვენგან და მის საძიებლად, სწორედ რომ ვთქვა, არც ხალისი და არც დრო არა მრჩებოდა.

განა ეს აფთარი კუჰი ნებას მომცემდა ასეთ დიდ მანძილზე ბოლთის დასაკრავად?

თქვენც არ მომიკვდეთ!..

თუ ეჭვი შეგაქვთ, მაშ, არა გცნობიათ კუჰი... დამერწმუნეთ, თუ გაწიწმატდა, ინდიან სატრფოს კაპარჩხიანობას გადაჭარბებს, გეფიცებით ტურფას ჟუჟუნა თვალებს, რომელიც ჩემთვის აღარა ჟუჟუნებს...

დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ ღმერთი მეტად შორს იყო ჩვენგან; თუმცა არც თუ დედა-მიწა იყო ასე ახლოს...

იმ ტურფა მანსარდის შუბლ წამოხრილ ღია სანათურიდან,—რომლიდანაც თითის ბწკილებზე შემდგარი თუ გადახედავდით ციხე-კოშკებივით მიყრილ, ახარაჩოებულ სახლების ყავარსა და ბუხრის წვეროებს—ისმოდამ ხოლოდ გამაბრუებელი, გამუდმებული, ყრუ გუგუნი, —ეს იყო პარიზის გულის ფეთქვა: ქარხნების ყანყრატონ ამოქშენილი მქვარტლიანი ბღუილ-წივილი, ურიცხვ მანქანათა ბუბუნ-ხრიალი, მა-

ლმწიფო გადასახადი აუკრეფიათ სულ 195,551 მან. 50 კაპ., 1909 წელს კი აუკრეფიათ—200,338 მან. 83 კაპ., ე. ი. 4,787 მან. 29 კაპ. მეტი.

✦ **„დაშნაკცუთუნ“-ის საქმე.** 7 დეკემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში საგანგებო საქმეთა გამომძიებელ მალინოვსკისთან დაბარებულნი არიან ტფილისში დაპატიმრებული ის პირნი, რომელთაც „დაშნაკცუთუნ“-ის პარტიის წევრობა ბრალდებათ.

✦ **ორის გაზეთის გაერთიანება.** ტფ. რუსულ გაზეთების „ნოვაია რეჩ“-ისა და „ზაკავკაზ. ობოზრენიე“-ს მეთაურებმა გადასწყვიტეს, ეს ორი გაზეთი გააერთიანონ და შეერთებულის ძალით ერთი გაზეთი გამოსცენ. დღეის შემდეგ „ზაკ. ობოზ.“ დაიხურება და ხვალ მხოლოდ „ნოვაია რეჩი“ გამოვა.

✦ **ქართული სოფელი სპარსეთში.** როგორც გვწერენ, მაზანდარანის ოლქში, ქალაქ სარა და ასტრაბადის მახლობლად ყოფილა ერთი ქართული სოფელი, რომელსაც გურჯი-მაპალა ჰრქმევია, ე. ი. ქართული სოფელი. სოფელში 500 კომლი მცხოვრები ყოფილა. ქართული ენა დავიწყებიათ, ზოგს მოხუცს კი ცოტათ ახსოვს. მოხუცთა სიტყვით, დღემდე ერთის კაცის ოჯახში მღვდლის შესამოსი, საეკლესიო ნივთები და წიგნებიც ინახებოდა. მცხოვრებთ არ ახსოვთ აქ გადმოსახლების ამბავი.

✦ **სამართალში მიცემა.** სენატორ რეინკეს შუამდგომლობის თანახმად, სამართალში აძლევენ ტფ. სასამართლო პალატის გამოჯვნელ დეპარტამენტს უმოქმედობისთვის, რის გამოც კავკასიაში გამიჯვნის საქმე ერთიანად არეულ-დარეულია.

✦ **ტფ. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** დღეიდან ქალაქის საბჭო შეუდგება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

✦ **ოზურგეთის ფ.-ტელ. კანტორის უფროსად ნამყოფ ასათიანის საქმე.** როგორც მკითხველთ უწყიან, ამ ჟამად დაპატიმრებულია ოზურგეთის ფ.-ტელ. კანტორის უფროსი ასათიანი, რომელსაც 105.000 მ. გაფლანგვა ბრალდება. ახლა ნელ-ნელა ირკვევა, რომ რომ ფულის გაფლანგვა ჰხდებოდა 1 წლ. განმავლობაში სამართალში აძლევენ რამდენსამე მისს ხელქვეით მოსამსახურეს. ტფ. საკანტროლო პალატაში, სადაც საბუთები მიდის, ამ საქმის გამო ორი მოხელე თანამდებობიდან დაითხოვეს. ბრალდებათ ზოგიერთ საბუთის მოსპობა. ასათიანი 70 წლის მოხუცია. მსახურებდა 40 წელს.

✦ **სამძიმრის დეპეშა.** რედაქციამ ხარკოვიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „დასწყდა სიმები კეთილშობილ სულისა. აღარა ძგერს მოსიყვარულე გული მშვენიერ საქართველოს იდეალებისთვის მშვიდად, მაგრამ ღრმად ტანჯულ ადამიანისა. დადუმდა ბაგე ქართველ ხალხის უკეთეს მომავლის დაუცხრომელ ქომაგისა და შეუმწიკვლელ მოამაგეს გიორგი დეკანოზიშვილისა. დიდია ჩვენი მწუხარება. გვამხნევებს მხოლოდ ის რწმენა, რომ სინათლე სიბნელეს დასძლევს. შეუერთეთ ჩვენი მწუხარება მშობელ ერის საერთო გლოვას. სტუდენტები: გიორგი დეკანოზიშვილი, ტიტო სიხარულიძე და ალექსანდრე ლომთათიძე“.

✦ **სტუდენტის კილურაძის დაპატიმრება.** ამ დღეებში იურიევში შეუპყრიათ და სოხუმში ჩამოუყვანიათ იურიევის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტი, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ლავრენტი პავლეს ძე კილურაძე, რომელსაც სოხუმის ს.-დემ. ორგანიზაციაში მონაწილეობა ედება ბრალად.

✦ **თავის მოკვლა.** 30 ნოემბერს, ნაშუადღევის ორ საათზე, ფრეილინის ქუჩაზე, საკუთარ ბინაზე, რევოლვერი დაირტყა პირში ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის მსახურმა, შორაპნის მაზრის, სოფელ ქორბილ-ის მცხოვრებმა ბეჟან (იაგორ) იოსების ძე მჭედლიშვილმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა. თავის მოკვლის მიზეზი გამოურკვეველია.

✦ 30 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 59 უპასპორტო.

✦ სამართალში მისცეს ტფ. საპოლიციო უბნის ზედამხედველი სლაბოდიანიკოვი, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა ბრალდება.

## სწავლა-განათლების მიმართულება ჩვენში

ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, როგორიც იყო, არამც თუ ერთი საუკუნის წინ, არამედ ამ ათი წლის წინადაც, ცხოვრებას ვეღარ აკმაყოფილებს. ცხოვრებას ადამიანისთვის მუდამ თავისი მოთხოვნილებანი მოაქვს და ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს რომ შევიარაღდეთ ცოდნით. ეს უკანასკნელი დიბულება კი ჩვენ ქართველებს გვაკლია. ჩვენ ვიცით მხოლოდ ლაპარაკი ჩვენს ჩამორჩენაზე და გაუნათლებლობაზე, მაგრამ არასოდეს არა ვზრუნავთ, რომ ჩვენი განმანათლებელი მოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებას შეუფარდოთ. სპეციალური განათლება მუდამ საჭიროებას შეადგენდა არამც თუ ჩვენთვის, არამედ ყველა ერებისათვისაც, მაგრამ ეს საჭიროება ჩვენ უფრო ნათლად მოძრაობის მერე დავინახეთ.

მართლაც და თვალი რომ გადაავლოთ ჩვენს ცხოვრებას, ნახავთ, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში სხვა და სხვა საქართველოს კუთხეებში მრავალი სასწავლებლები იხსნება. მაგრამ რას წარმოადგენს ეს სასწავლებლები და შეეფერება მათი მოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებას თუ არა? ჩვენის აზრით—თითქმის არა.

სკოლის დანიშნულება საზოგადოდ არის პიროვნება ბუნებასთან საბრძოლველად მოამზადოს, მაგრამ ამ ბრძოლისთვის საკმაყოფილო არა მარტო გუმანიტარული განათლება, ამ უკანასკნელის გარდა საჭიროა არსებობდეს ისეთი სკოლები, რომელნიც რაიმე სპეციალურ განათლებას იძლეოდეს. ჩვენში კი ვხედავთ მარტო კლასიკურ გიმნაზიებს და პროგიმნაზიებს, რომლებიც ამზადებენ, უმეტეს შემთხვევაში მარტო მოხელებს. ასეთი ხასიათი მისცა მთავრობამ არამც თუ საშუალო სასწავლებლებს, არამედ სოფლის ორკლასიან სასწავლებლებსაც, როგორც მაგალითად ამაღლების (ქუთ. გუბ.) ორ კლასიანი სასწავლებელია, საიდანაც გამოდიან სამრევლო სკოლების მასწავლებლები; მეორე მხრით განათლებული პირნი ჩამოიშორებინა სპეციალურ განათლებას და ხალხს, რითაც უნდა დაექვეითებინა ადგილობრივი ალებ-მიცემა და მრეწველობა, მაშასადამე გაეხსნა ბაზარი უცხოთა მრეწველობისთვის და ხელშეუშლელად განეხორციელებინა თავის აგრარული პოლიტიკა. ასეთ პოლიტიკას თითქმის ნიადაგიც მომზადებული დახვდა. იმ დროს ჩვენში ბატონ-ყმობა იყო. გლეხებს სწავლის მიღების სახსარი არ ჰქონდათ, თავად-აზნაურობას კი ტრადიციულად ეზიზღებოდა ყოველი კომმერცია და სპეკულიაცია. მაშასადამე, მათს სულის კვეთებას უმეტეს იგეთი სკოლები, შეეფერებოდა სადაც სახელმწიფო მოხელეებს ამზადებენ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ქართული წარჩინებული წოდება იგეთი უფლებებით შევიდა რუსეთის წარჩინებულ კლასის ჯგუფში, რა უფლებებიც ჰქონდა ამ უკანასკნელებს მინიჭებული და თავისი უპირატესობის განსახორციელებლად ფრიად ხელსაყრელი შეიქმნა გიმნაზიური და უნივერსიტეტური განათლება. მთავრობას ზემომოყვანილი მოსაზრების გარდა, კიდევ ერთი მოსაზრებაც ჰქონდა ეს იყო—გაეხრწნა ის ენა, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობდა, მაშასადამე ჰსურდა დაექვეითებინა ლიტერატურულ პოეზიის, ხელოვნების და მუსიკის და სხვ. განვითარება, ამისათვის ან სულ გამოდევნა სკოლებიდან სამშობლო ლიტერატურა, ენა, ისტორია და გეოგრაფია, ან და ისეთი მცირე ადგილი დაუთმო, რომ სათქმელიც არ არის. დროთა ვითარების გამო ხალხმაც შესძლო, ავად თუ კარგად, დასწაფებოდა განათლებას, მაგრამ ამ განათლებამ მიიღო მახინჯი ხასიათი. ხალხის შვილებმა წამბაძველობის ძალით გაიწიეს იქით, საითაც თავადაზნაურებმა. მათზე მაგნიტიური გავლენა იქონია ბრჭყვიალა ფოლაქებმა და პრტყელმა ეპოლეტებმა. იმ ბედნიერებს, რომელნიც სწავლობდენ, ეგონათ რომ, თუ მოხელე შეიქნებოდენ, რუსეთის ხაზინა და სიმდიდრე მათ ხელში გადმოვიდოდა. მეორეც ის, რომ განათლება თითქმის იმ საფეხურზე აყენებდა მათ, როგორც წარჩინებულებს და ამ მიზეზებმა ის შედეგი მოჰყვა, რომ ხალხი საზოგადოდ გაიჟღინთა თავად-აზნაურულ ზნე-ჩვეულებით და მიდრეკილებით. ამ მიზეზისა გამო ჩვენში უმეტეს გასავალი ჰქონდა და აქვს გიმნაზიურ და უნივერსიტეტურ განათლებას, ვიდრე—სპეციალურს.

ეს არა-სასიამოვნო მოვლენა ჩვენმა ინტელიგენციამ უკვე იგრძნო და აღნიშნა კიდევაც, რის გამო ჩვენი დანიშნულება იყო და არის გამოგვენახა ისეთი ძალა, რომელსაც შესძლებოდა შებრძოლება ასეთ მოვლენასთან. ასეთი ძალაა ისეთ სკოლების გახსნა, რომელსაც უნდა შეეფერხებინა სულის გადამახინჯებული განვითარება და მიდრეკილება, განევითარებინა პიროვნების ყველა ძალები და ნიჭი, მიეცა სპეციალური განათლება ცხოვრებასთან საბრძოლველად, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანებში სწავლის სურვილმა ძლიერ იმატა. ჩვენ მართლაც ვხედავთ, რომ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქები, კერძო პირნი და საზოგადო დაწესებულებანი სკოლებსა ჰხსნიან, მაგრამ იმის მაგივრად, რომ გახსნან ისეთი სკოლები, რომელნიც აძლევდენ სპეციალურ განათლებას და აფერხებდენ ხალხის სულიერ გახრწნას, ჩვენ მოწმე ვართ ისეთი სკოლების გახსნისა, რომლებშიაც ხორციელდება და ვითარდება მავნებელი პოლიტიკა აბა შეხედეთ, გაიხსნა სადმე ისეთი სკოლები, როგორც მაგალითად საბაღოსნო, სახელოსნო, სავაჭრო ხაზღვაო და კომერციული?

რას წარმოადგენენ ეს ახლად გახსნილნი გიმნაზიები და პროგიმნაზიები? ისეთ სასწავლებლებს, როგორიცაა მთავრობისა, მხოლოდ ერთის გარჩევით: ზოგს ხსნის მთავრობა თავის მიზნებისთვის, ზოგს კერძო პირნი და საზოგადო დაწესებულები, მაგრამ—უმიზნოდ, რადგანაც ორივეში საქმე ერთნაირად არის დაყენებული. ნუ თუ გასაკვირველი არ არის, რომ რასაცა ასი წლის განმავლობაში ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია ჰგმობდა, იმას დღეს ჩვენ ვაკეთებთ და ხელს ვუწყობთ?! მესმის, სასწავლებლებში დედა-ენას რომ ჰქონდეს ადგილი დათმობილი ან ლიტერატურას, ისტორიას და გეოგრაფიას, მაგრამ ამას ვერა ვხედავთ. თუ სადმე ვამჩნევთ, ისე მკრთლადაა დაყენებული, რომ სათქმელიც არაა. მაშ, რის მაქნისია ასეთი ტიპის სკოლები და რა სარგებლობა მოაქვთ მათ? უნაყოფოდ ფულები იხარჯება, ხალხს ზნეობრივად და სულიერად, ხრწნის ქართველობას გადაგვარების გზაზე აყენებს, და მოზარდ თაობას რეალურ, ნიადაგს ფეხქვეშიდან აცლის, ხალხისაგან ფაქტიურად აშორებს მას.

იმას კი არ ვამბობთ, ვითომც გიმნაზიური და უნივერსიტეტური განათლებაც საჭირო არ იყოს. გიმნაზიები და უნივერსიტეტები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ, მაგრამ ჩვენი მოღვაწენი მთელ თავის ძალას მხოლოდ ასეთ სკოლებს ანდომებენ. დღეს კი ჩვენთვის საჭიროა ხალხში სპეციალური ცოდნა გავავრცელოთ, რათა ხელოვანი მწარმოებელი ძალა განვითარდეს და ცხოვრების რეალურ ნიადაგზე დამდგარი ხალხი კულტურულადაც ნაყოფიერის ნაბიჯით ვიდოდეს წინ.

ა. გეგეჭკორი.

## ოქროს მრეწველობის საქმე საქართველოში.

ოქროს მრეწველობა ერთი უძველესი მრეწველობაა საქართველოში, თუმცა ორი-ათას წელიწადზე მეტია, რაც ეს მრეწველობა გაჩნდა ჩვენში, მაგრამ ჯერაც იგი აკვანშია ფეხ-აუდგმელი; იმ დროს, როდესაც ნავთის მრეწველობამ სულ მცირე ხნის განმავლობაში დიდი სისწრაფით გაიკაფა გზა, ამავე დროს ოქროს მრეწველობა ემსგავსება ჩანგში გახვეულ მზეთ-უნახავ ქალს, რომლის დანახვა ყველას სანატრელად გახდომია.

ოქროს მრეწველობას ჩვენს ქვეყანაში თავისი საკუთარი ისტორია აქვს, რომელიც შეიძლება რამდენსამე ხანად დაჰყოთ: 1) ოქროს მრეწველობის აღორძინება მეფე ერეკლე II-ის დროს, 2) ექსპედიცია კავკასიაში ოქროს მრეწველობის საქმის შესასწავლად ეკატერინე II-ს დროს. 1767 წ. 3) ამ საქმისათვის საქართველოში მოსვლა 1801 წ. 4) სამთო-მადნის საქმეების შტატების დაწესება 1816 წ. და სხვა. ოქროს მრეწველობის ხანად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენი ხანაც. დასამტკიცებელ საბუთად იმისავე რომ საქართველოში ოქროს მრეწველობა გავრცელებული იყო, შეიძლება სხვათა შორის ჩაითვალოს ერეკლე მეფის მიერ შეწირულება მცხეთის საკრებულო 12 მოციქულთა ტაძარში, დღევანდლამდის დაცული ოქროს ბარძიმი და სამი სხვა ნივთი, წონით 7 გირვანქა მეფის ერეკლე II-ის მიერ შეწირულ ახალი მადნისაგან გაკეთებული ოქროსი, რომელზედაც აწერია: „ღვთით განგებული დიდისა ეკლესიისა სვეტის - ცხოველისათვის მე ერეკლე II-მან და ახალმ აღთქმულ სა იესოსა და ღვთისა სისხლისა პატიოსანს და სახსარსა ჩვენსა შემოგწირე ახლისა მადნისაგან გამოღებულ ოქროის წმიდა ბარძიმი ესე, მისატევებელად ცოდვათა და სახსრად სულისა ჩემისა და დროსანტონის უწმიდესისა ძმისა ჩემისა. თვესა იგლისსა: ზ: და წელს ჩ. ღ. ო. გ. (1776).

ზემოხსენებულიდან სჩანს, რომ უძველეს დროიდგან ქართველებს იცოდნიათ ოქროს მრეწველობის საქმე, ოქროს ფხვიერის რეცხვა და ოქროს გამოდნობა. აქედგან ცხადია, რომ სამთა საქმე ძველს დროს ქართველებს თუმცა კარგად ვერ ექნებოდათ მოწყობილი და ბევრიც რამ აკლდებოდათ ამისათვის, მაგრამ მაინც ეწეოდენ ამ საქმეს.

პირველი მკვიდრი საფუძველი სამთა-მადნო საქმეს მე-18 საუკუნის ნახევარში დაედო, მეფე ერეკლე მეორეს დროს, რომლის მეოხებითაც დაიწყო საქართველოში ოქროს მრეწველობის საქმე. ამ მოწინავე მეფემ გამოიწვია ანატოლიიდგან ბერძნები, რიცხვით 800 კომლი და მისცა მათ სამუშაოდ ახთალის და ალავერდის მადნები, სადაც წინადაც ყოფილიყო ოქრო-ვერცხლის მრეწველობა გავრცელებული.

ბერძნებს უნდა ეძლიათ მეფისათვის მოლად რაც კი ოქროს ამოიღებდნენ, 25½ ვერცხლის, ხოლო დანარჩენი, 75 პროცენტი ბერძნებისა უნდა ყოფილიყო მეფეს უნდა ეცისრა გზის ხარჯი, რაც ანატოლიიდგან საქართველომდი ბერძნებს დაეხარჯებოდათ.

თავად მელიქიშვილებს, რომელთაც ეკუთვნოდათ ახთალის მამული, უნდა მიეღოთ მეფისაგან 300 მ. ჯამაგირად და 300 მ. ტყისა და მიწის ღალად წელიწადში სხვა ასეთები.

რა დიდი სარგებლობა მოჰქონდა ამ მადნებს, სჩანს იქიდგან, რომ მარტო ერთმა ახთალის მადანმა [illegible] საკვე წელს მისცა ქვეყანას [illegible], ანუ 91 ფუთი და 26 გირი ვერცხლი. თვითეული ფუთის ვერცხლისაგან გამოსჩნდა იქნა 46 მისხალი ოქრო.

მაგრამ, საუბედუროდ, ასე კარგად დაყენებული ოქროს მრეწველობის საქმეს ბოლო მოუღო ჩვენი ქვეყნის საშინელმა აოხრებამ ჯერ ომარხანისამ და შემდეგ—აღა მაჰმად ხანისა 1783 და 1795 წლებში. ამათ შემოსევის დროს მთლად გაოხრებულ იქნა მთელი მადნეთი ბერძენ მემადნეებისაგან 700 სული კაცი მოკლულ იქნა და 800 სული კაცი ტყვედ წაყვანილი დანარჩენები გაიფანტ-გამოიფანტნენ. ამას ზედ დაერთო მეფე ერეკლეს სიკვდილი და მაშინ მთლად ბოლო მოუღო სამთამადნო საქმეს.

თევდორე ხახანაშვილი.

## შიგნით კახეთის სამრევლო სკოლები

კახეთის სოფლები ღარიბია სწავლა-განათლებით, ღარიბია არა თუ სამეურნეო და სახელოსნო სკოლებით, არამედ ესრედ წოდებულ საანბანო

---

ტარებელთა სტვენა-ქშიტინი, ავტომობილთა ჰყვიტინ-ყუყუნი, ტრამვაის დაუსრულებელი სრიალი, სამ მილიონიან გაბნედიანებულ ქალაქის მკვიდრთა და ეტლთა შეხლა-შემოხლა, გამახილ-გამომახილი, კისკის ხარხარი—ყველა ეს რაღაც გაურკვეველ, უსაზღვრო ბუზუნგუგუნად შეზავებულიყო; თითქოს აღდგომა ღამეს გაშმაგებული ზარის რეკვაა ყველა კუთხიდან, თითქო დოლსა და ჰიანურს უკრავენ, თითქო ყეინობა დღეს დაფა-ზურნა გაუჩაღებიათ, თითქო მთელი ქალაქი იერიქონის დასანგრევად ღოროტოტოებს უკრავდეს...

აქ კი, ჩემს ტურფა მანსარდში, ვიყავით ორნი, მარტოდ-მარტო ორნი,—მე და ჩემი კუჭი,—და ხელჩართული ბრძოლა გვქონდა.

მაგრამ, ბოდიში.

დრო და დრო, ხეპრედ მოაბრახუნებდა კარებს,—ისე დიდგულად, თითქოს ფოსტის მოხელეს ფულიანი ამანათი მოუტანიაო,—ტურფა მანსარდის პატრონი, აბეზარ ცხვირს შემოჰყავდა და უდრო-უდროდ გამახსენებდა, რომ ეს ტურფა მანსარდი, უჩინარ ბაღლინჯოთა სავანე.—მუქთად კი არ მოუცია ჩემთვის, რომ ვადა დიდი ხანია გავიდა... მაგრამ კუჭთან წაჩხუბებულ ადამიანს განა ამისთანა წვრილმან საუბრისათვის სცალიან?!..

და ისიც, ეს ადამიანის მსგავსი გვამი, სახლის პატრონად წოდებული, ცხვირწინ მოაჯახუნებდა კარებს და დაგვტოვებდა მე და კუჭს დავის გადასაწყვეტად.

***

კუჭი!..

გინახავთ თქვენ კუჭი?..

კუჭი ადამიანისა, რომელიც ყველა სხვა ცხოველთა და ფრთოსანთა კუჭსა ჰჰანსლავს?! ნეტავი იმასაც, ადამიანის სახე აქვს, თუ სხვა, უფრო მახინჯ, ჯოჯოსა ჰგავს?!

ნუ თუ ყველა კუჭი ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ყოველი ქალი?!..

ჰყლაპავს და ჰყლაპავს!..

არ ვიცი!..

დღეს მაინც მეტის-მეტად გამითამამდა.

უძრახად კაი ხანია რაცა ვართ...

სულ ბუზღუნებდა, მიჩხიკინებდა, უნდოდა გავეგულესებინე, მაგრამ ყურადღების ღირსი რომ არ გავხადე, ყური რომ მოვუყრუე და გავუჩუმდი, უფრო თავს წავიდა.

მეტის-მეტი აბეზარი რამ გახდა!

მითომ რა მინდაო?

აჰამეთ, ემსახურეთ! დამიხედეთ კუჭს! სადღაც ჯანდაბის ჯურღმულში შემძვრალა ერთი რაღაც მახინჯი, უძღომელი ობობა და წამდა-უწუმ გაჰკივის:

მაჭამეეეთ! ჩამომაყარეეეთ!

ნამდვილი ქალია!

მას ჯერაც არ შეუტყვია, რომ დიდი ხანია ზურგი ვაქციეთ ძველ ადათ-წესებს, ჩამოვიბერტყეთ ფეხზე მის მტვერი, ზიზღით ვუცქერით კუჭოსან კერპებს, შემწვარ ბატის ვართ მოსისხლე მტერი!

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერაფერი ვერ შევასმინე.

წავა-წამოვა და ურცხვად, მთელი ქვეყნის გასაგონად, ამოგჩხავლებს:

მაჭამეეე! ჩამომაყარეე!

შავ ქვას გაჰმევ და ნაცარ ცხელსა!

ასეთი უტიფარი, ასეთი უნამუსო, ასეთი ურცხვი, აპწკა გაწყვეტილი, გაიძვერა თვალთმაქცი ადამიანიც არ მინახავს. არც სირცხვილო, არც ზრდილობავ! მაჭამეე! ჩამომაყარეე!

გუშინდელი არ იყოს! ჯერ დავუყვავე, მიველერსე. მაგრამ კაპარჩხინობას რომ მოუმატა, თავი რომ მომაბეზრა, ავიღე და წეკო თამბაქოს მწარე და მყრალი ბოლი შიგ ცხვირში შევაბოლე, მინდოდა მელიასავით შიგ გამომეჩხო!

სიკოცხლე გაქვთ, გაჰმინდა სული!

თუ დაბორიელდა!

***

ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე და ჩემის სამყაროდან, ჩემს ტურფა მანსარდიდან, დაგრეხილ კიბეზე დავეშვი.

ჯერ გავტრიალდი, უკანვე ასვლა დავაპირე, მინდოდა კუჭი შინ დამერჩინა, მაგრამ რაკი გაყუჩდა და პირობა მომცა, რომ საზოგადოებაში მაინც კეთილ-გონიერებას გამოიჩენს, თან გავიყოლე.

ასეთი გულმოწყალეა საწყალი ადამიანი!..

ბროკას ქუჩიდან ლიონისაზე შევუხვიე,—არ ვიცი,—რისთვის:

იქ, ამ ვიწრო და უწმაწურ პატარა ქუჩაში, მარცხნივ, ლეისმანის სასადილო იყო,—ეს რუსეთის ხელმოკლე ახალგაზრდობის თავშესაფარი.

მე დაუფიქრებლად შიგ ამოვყავი თავი. სასადილო მთლად პაპიროზის ბოლით იყო გაჟღენთილი, დამწვარ ქონისა და ხრუკის სუნი ტრიალებდა...

დავიხარე, მივიხედ-მოვიხედე. არ ვიცი, ვის ვეძებდი? და ისევ გამოვტრიალდი.

კუჭი კვლავ შეტორტმანდა. ჩუმად, ჩურჩურითა და მოკრძალებით, მხოლოდ ჩემს გასაგონად, ამომძახა:

— დაიცა პატარა, სად მიხვალ? ხედავ აქ რა კარგი სუნი ტრიალებს!

— გაჩუმდი, შე მსუნაგო-მეთქი!—ჩავძახე ჩუმადვე და თავზე ხელი გადავუსვი. მაგრამ გველივით კლაკვნა რომ იწყო, ავიღე და გრაფინკით ცივი წყალი ზედ მივაქცივე.

ოჰ, ნეტამც სამუდამოდ ჩამრჩვალიყო!.. და გაგიხარიათ, იკადრა გაჩუმება, გაიბერა და პირი მაგრა მოკუმა.

კარებში რო გამოველ, ჩემი სახელი მომესმა. მივიხედე, ამხანაგი იყო.

— სად მიხვალ? ისადილე?

— კი!—მოკლედ მოვუჭერ და გამოვტრიალდი.

— დაიცა!..—მითხრა სწრაფად და იქით, მოსადილე ამხანაგს გაელაპარაკა.

— მოდი, კაცო, ისადილე!—გამომეხმაურე მეორე.

— სისხლი თავში მეცა,—არ ვიცი, რისი შემრცხვა; ცივმა ოფლმა დამასხა.

— მე ვისადილე კიდეც!—ცივად შევუბრუნე სიტყვა.

— მოდი, კაცო!.. რა უცნაური რამ ხარ!.. მოდი, ერთი თავი მოითხოვე რამე!

— ვისადილე-მეთქი—და, არა გჯერათ?!—და წასვლა დავაპირე.

— დარჩი! სად მიხვალ!—ამომჩხავლა კუჭმა.

წყეული პროვაკატორი!

— გატყობ, რო არ გისადილნია!—არ მეშვებოდა ამხანაგი—და მაგიდაზე ძალით დამსვა.

არ ვიცი, ღმერთმანი, საკვირველებიდან გამოვდივარ: ნუ თუ ის ოხერი კუჭი ასე ჩუმად, ჩემს შეუმჩნევლად, ამოცოცდა და ჩემს სახეს ზედ გადაეფარა, რომ ასე ნათლად დაინახეს მისი ჰირვეული ქინიანობა!?

საჭმელი მომიტანეს.

მაგრამ ისეთი გაბრაზებული ვიყავ ამ წყეულ კუჭზე, რომ სულ დაუღეჭავ ლუკმებსა ვყლაპავდი: დაე, მეტად გაიტანჯოს კუჭი! დაე, ყრები დაასქდეს! დაე, ღრძილები დაუცვდეს!...—ვფიქრობდი.

ორი კალათა პური გამეთავებინა და მესამე ნახევრად ჩასულიყო, როდესაც ჩაი მომიტანეს.

ჩაი ბევრი დამილევია, მაგრამ ასეთი ტკბილი, ასეთი სურნელოვანი კი არასოდეს.

თვით დედას დამზადებული დაშაქრული ჩაიც არად მეჩვენებოდა, ამ შავად შეღებილ, ათასჯერ გადახარშულ ჩაის თბილ წვენთან.

გავძეხ, გავიჭყინე, ღიპ-გასიებულ ობობასავით ვიჯექდა ძლივს-და ვსუნთქავდი.

მხოლოდ ეხლა შევამჩნიე ჩემს პირდაპირ დიდი კედლის დაორთქლილი, წამოხრილი სარკე...

და შიგ რო უაზროდ გაღიმებული, რაღაც სულელურად გაღრეჭილი ჩემი სახე დავინახე, გიჟივით გამეცინა.

— რას იცინი?—დამეკითხა ამხანაგი.

— ეს მე კი არა, კუჭი იცინის!—ვუპასუხე მხიარულად და ღიღინს მოვყე.

ღმერთო ჩემო, ეს სიმღერა, ეს კილო თავის დღეში არა მცოდნია.

ნუ თუ ახლაც კუჭი მღეროდა?

დიაღ! კუჭი მღეროდა, კუჭი იცინოდა, კუჭი იზმორებოდა, დაამთქნარა კიდეც და ტურფა მანსარდისაკენ მეპატიჟებოდა.

ის-ის იყო, დაუფიქრებლად, კუჭის იდუმალ ალლოს აყოლით, დავაპირე ჩემი ტურფა სადგომისაკენ წასვლა, რომ ამხანაგმა ერთად გასეირნება მთხოვა.

კუჭ-მომაგრებული კუჭიც ამაზე არ ამიხირდა და ორთავემ ლუქსემბურგის ბაღისაკენ გავწიეთ.

ნარკანი.

სკოლებითაც კი. ბევრია ისეთი სოფელი, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს აღემატება და ერთი სამრევლო სკოლაც არ გააჩნიათ. არის ისეთი სოფლებიც, სადაც ამდენივე მცხოვრებთა რიცხვი ითვლება და სადაც ყოფილა სამრევლო სკოლა, მაგრამ დაკეტილა, დაკეტილა ჯერ ერთი სწავლის რიგიანად მოუწყობლობის გამო და მეორე კიდევ არავინ ცდილა მათვის გულშემატკივრობა გამოეჩინა. წაუხალისებელ მცხოვრებთაც თავი მიუნებებიათ, ამათ საწვავ-სანათის მიცემაც კი დაჰზარებიათ და შენობაზედაც უარი უთქვამთ მაშინ, როცა თითო სოფლის „ღლეობის“ გადახდა 3000—4000 მან. უჯდება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რა ზომები მიუღიათ, იმათ, ვისაც სამრევლო სკოლების ბედიღბალი აქვს ჩაბარებული?! რასაკვირველია არავითარი.

თუმცა დღევანდელ სამრევლო სკოლას სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვს, მაგრამ სულ არარაობას, გლეხის პატარა ბიჭმა ანბანიც რომ ისწავლოს და მწიგნობრობას მიეჩვიოს, ესეც დიდი საქმეა. ამისათვის ეს სკოლები თავის დანიშნულების სიმაღლეზე რომ იდგეს, მაინც შესამჩნევ ნაყოფს გამოიღებდა.

აუზედუროდ თელავის მაზრის სამრევლო სკოლებს დღეს, ვისგანაც ჯერ არს, ძრიელ ნაკლები ყურადღება ექცევა. ყველას მოეხსენება, სოფლის მღვდლები ნაკლებად უწევენ მზრუნველობას მათდამი რწმუნებულ სკოლებს და ძალა-უნებურად სკოლის გამგებლობა მასწავლებელს ჩაჰვარდნია ხელში. ამან უნდა იზრუნოს როგორც მეცადინეობაზე, ისე სკოლის შენობაზე, მის მოწყობა-მოგვარებაზე და სხვა. იგი ამ სკოლის უფროსიც არის, წინამძღოლიც, მზრუნველიც, გამგეც და მასწავლებელიც და თუ მივიღებთ მხედველობაში რომ თუ იგი თავის დანიშნულებას ნაკლებად ამართლებს მაშინ ადვილი წარმოსადგენია სკოლების მდგომარეობა.

სწორედ ამ სამრევლო სკოლებს ზედამხედველად და პატრონად ჰყავს დანიშნული სამაზრო მეთვალყურე მამა იროდიონ შავლიშვილი.

თვით ამ თანამდებობის სახელი ნათლად გვიჩვენებს მის მოვალეობას, მაგრამ რამდენად ასრულებს ამას, თვით სკოლების მდგომარეობა ხმა მაღლა ჰღაღადებს. სკოლის შენობები უმეტესად უვარგისია და შეუფერებელი, სწავლა ნორმალურად არ მიმდინარეობს და მეცადინეობაზე ხომ, ჩვენ რომ არაფერი ვთქვათ, თვით საოლქო მეთვალყურემ ბ-ნმა ოდოევმა ცხადად ჰყო წარსულ გაზაფხულზე—სკოლების დათვალიერების დროს.

მაშინ, როცა ამავე თელავის მაზრის სამინისტრო სასწავლებლებში მოსწავლეთა ტევა აღარ არის, სამრევლო სკოლები იკეტება; მაშინ როცა სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პოგორელოვი ტფილისიდამ წელიწადში რამდენჯერმე მოდის და რამდენიმე კვირა რჩება მაზრაში და ხან მასწავლებლებსა ერთადა ჰკრეფს და სამაგალითო გაკვეთილებს აძლევინებს, მამა შავლიაშვილი—თელავში მაცხოვრებელი—არსად სჩანს.

მ. შავლიაშვილი არც გასამტყუნარია, მარტო მეთვალყურედ რომ იმყოფებოდეს—კიდევ მოეთხოვებოდა, მაგრამ მისთვის ბედს რამდენიმე თანამდებობა ურგენია: ჯერ ერთი მღვდელია და მორჩილი სამრევლოც უჭირავს სოფ. ვარდისუბანში, მეორე ბლაღოჩინია და დიდი რაიონი აქვს მოსავლელი, თუნდა სიარული არა, საქმეების წარმოება უნდა, მესამე, თფ. ეპ. საჰ. საბჭოს თელავის განყოფილების თავმჯდომარეა და ამას თუ ბევრი არა, ცოტა დრო მაინც უნდა, მეოთხე მ. სკოლების მეთვალყურეა, ამ სიტყვიდამაც ნათლად სჩანს მისი მოვალეობა, მეხუთე—თელ. ვაჟთა პროგიმნაზიის სამღვთო და ქართული ენის მასწავლებელია და სხვ.

როგორ და რანაირად ასრულებს თანამდებობებს, რა მოგახსენოთ, მხოლოდ ერთი კი ცხადია, რომ სამრევლოში წესების ასრულებაზე ვარს ვერ იტყვის და ვერც პროგიმნაზიაში მოსცდება და ამავე დროს, სამრევლო სკოლების დათვალიერებაც, თუნდ გულითაც მოინდომოს, ეს ფიზიკურად არ ძალუძს.

ამნაირად კიდევ ერთი თანამდებობის პროგიმნაზიის მასწავლებლობის მიმატებით, სამრევლო სკოლების საპატრონო დასათვალიერებლად სრულებით დრო აღარა რჩება და მამა ი. შავლიაშვილს კი როგორც ვხედავთ აინუნშიაც არ მოაქვს ეს გარემოება. და განაგრძობს თანამდებობაზე ყოფნას.,. **ახ.**

## ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ქუთაისი.** აგერ შვიდ წელიწადზედ მეტია, რაც ქუთაისში არსებობს ქადების კერძო გიმნაზია, რომელიც ქ. კაუფმანმა გახსნა და კიდევაც განაგებს მას. წინეთ ქუთაისის უქონლობის გამო მთავრობას ქალთა გიმნაზიაში მრავალი ქალიშვილები რჩებოდნენ მიუღებელნი. მას შემდეგ, რაც ეს სასწავლებელი დაარსდა, ბევრს ქალიშვილებს გაეხსნათ გზა სწავლა განათლების მისაღებად. მთავრობის ქალთა გიმნაზიაში წლიგანებს დიდი ყურადღება ექცევა, აქ, თუ კი ატყობენ, რომ ქალიშვილს სწავლა სწყურია, თუმცა წლოვანებით დიდია, მათ მდგომარეობაში შედიან და დებულობენ; ასე წარმოიდგინეთ, რომ ეს სასწავლებელი მხოლოდ სწავლის ფულით ინახება თუმცა კაბინეტი აქ ბევრად ნაკლებია გინდრე სახელმწიფო გიმნაზიებში, რომელსაც ხაზინა დიდძალ ფულს აძლევს უოველ წლივ. მაგალითად მართებლობის გიმნაზიების დაბალ კლასებში სწავლის ფული წელიწადში შვიდი თუმანია აქ კი, რომელსაც ხაზინა არავითარ დახმარებას არ აძლევს—მხოლოდ ოთხი თუმანია უმაღლეს კლასებში, იქ რომ რვა თუმანია, აქ—მხოლოდ ექვსი. იქ რომ ღარიბ მოწაფეებს სწავლის ფულიდან სულ არ ანთავისუფლებენ, ან და თუ ანთავისუფლებენ, იმასაც მცირე პროცენტს, აქ კი ხელმოკლეებს სრულიად არ სთხოვენ სწავლის ფულს. აქ მოწაფეებსაც დიდი სიყვარული აქვთ და შებრალება ერთმანეთისა.

შოგიუყვან ერთ ნამდვილ მაგალითს. ამ სასწავლებლის მოსამსახურეებმა შეამჩნიეს ერთ მოწაფეს, რომ სიღარიბის გამო სწავლის ფულის შემოტანა არ შეეძლო და კაანთავისუფლეს. ეს გარემოება ამ მოწაფის ამხანაგებმა რომ გაიგეს, ძლიერ ესიამოვნათ და, რადგანაც მათს ამხანაგს არც სასწავლო ნივთები ჰქონდა, ამხანაგებმა შეკრიბეს თითო ორ ოლა გროშში და უყიდეს. ასეთი ურთი-ერთ შორის ამხანაგების სიყვარული ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. **დ. მდივანი.**

---

**სოფ. უვარელი.** (კახეთი). დიდი გაიგაიდახი გამოიარა უვარელმა ხუთი წლის განმავლობაში. ჯერ იყო და 1906 წ. მდ: დურუჯმა ნახევარი სოფელი წაიღო, 49 სული ადამიანი იმსხვერპლა, აუარებელი საქონელი დაახრჩო და ვენახ-ბოსტნები გააფუჭა.

თუ ბუნება ასე შეუბრალებლად მოექცა, აბა ჩვენი ბიუროკრატია რას დაინდობდა მას. ამ ხუთი წლის განმავლობაში ათიოდე მამასახლისი (სამთავრობის) და ხუთიოდე ბოქაული გამოიცვალა. სიკეთე კი არა დასტეობია რა სოფელს.

ს. უვარელს ხაზინისათვის შეუმატებია დახლოვებით შემდეგი: 1908 და 1909 წლებში გამოუხდიათ 24, 900 ვედრო არაყი, 1 201.137 გრადუსი; გრადუსზე ბაჟია $^2/_3$ კაპ. —50.447 მანეთი 75 კაპ. ამას გარდა იმ მამულიდან, რომლებიც სახელმწიფო გლეხებს უჭერიათ, შესულა 30.222 მანეთი, სკოლის შესანახით 621 მ. უვარელში 80 კომლამდის ნაუმევი გლეხიც იქნება, რომლიდანაც შევა 1000 მანეთამდის. მამასადამე გასულ ორი წლის განმავლობაში ს. უვარელს ხაზინისათვის 81.669 მ. 75 კ. მიუცია ანუ წლიურად—40. 889 მ. 37 $^1/_2$ კაპ.

მთავრობა კი სოფლის კეთილდღეობაზე ხარჯავს ერთი მასწავლებლის ჯამაგირს—3000 მ.

ამ ბოლო ხანებში ერთი ათად იმატა ბორო შოქმედებამ, მეტადრე გახშირდა თივების წვა. ჩვენი მამები განცხრომაში არიან. **მიწის მუშა.**

---

**ქ. ახალციხე.** კვირას, 21 ნოემბერს, აქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა რუსულად, ბოლოს კონცერტი და ცეკვა. როგორც გვიგეთ შემოსავალი 304 მანეთი უოფილა.

—აქ მასწავლებელ ქალის ჯუღელის მეთაურობით დაარსდა სავგირაო სკოლა, მსურველები ბლომად ჩაეწერენ.

—ქართულ სკოლის კომიტეტს გადაწყვეტია დაარსონ იქვე სკოლაში ჩრაკერვის სახელოსნო, რომლიც სარგებლობას მოუტანს მეტადრე ღარიბ მოწაფეებს. მხოლოდ ამისთვის საჭიროა კარგი გამოცდილი ხელმძღვანელი.

—აქაურ ახალ გახსნილ პროგიმნაზიაში დიდი დავა იყო იმის გამო: ესწავლებინათ ქართული ენა თუ—არა. ბოლოს მასწავლებლად დროებით დაინიშნა კოტე გვარამაძე—ექიმად პროგიმნაზიის ადგილობრივი ექიმი გ. დოდობერიძე.

—აქ ამ ნოემბერში დიდი ყინვები დაიწყო სულ გაუნა მდინარეები ხალხი უწყლოდ დიდს გაჭირვებას განიცდის. **გარეული ბზიკი.**

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**ქართული თეატრი.** 30 ნოემბერს, ქართულს თეატრში, ნ. ა. ტარსაიძის გამგეობით, ჩვეულებრივი სალამომეჯლისი გაიმართა. პირველად ითამაშეს ერთ მოქმედებიანი პიესა „ღამე“ სვეტლოვისა, თარგმანი ვ. შალიკაშვილისა. პიესამ, რომელ'შიაც მონაწილეობას იღებდა, სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილი და ნინო ჩხეიძე, კარგად ჩაიარა! შემდეგ წარმოდგენილ იქმნა დრამატიული სანახობა 2 მოქმედებაც ვინ-განისა, ეგრედ წოდებული „წარსული და ყოფილი“.

სალამომ საზოგადოდ უფერულად ჩაიარა. ხალხი თეატრში საკმარისი იყო.

---

**ქუთაისის თეატრი.** არ მგონია სადმე, ისეთი უწესრიგობა სუფევდეს, ილეთის ალების დროს, როგორც ქუთაისის თეატრში. კარგი მარჯვე ბიჭი უნდა იყო, რომ ფეხ მოუტეხელი ან ტანსაცმელ შემოუფხრეწელი გადარჩეს, ბილეთის ალებისას. ესევე ხდება შესვლის დროსაც.

აქ სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენები უმთავრესად შაბათობით იმართება, რითაც ჩვენ მდაბიო ხელოსნები ამით ვერ ვსარგებლობთ, რადგანაც წარმოდგენის დასაწყისი სალამოს რვა საათზეა ჩვენ კი, ამ დროს გაჩაღებულ მუშაობაში ვართ. კარგი იქნება იაფფასიანი წარმოდგენები კვირაობითაც დაიდგას.

აქ ძლიერ გავრცელებულია ბილეთების ყიდვა-გაყიდვა. თეატრს პირდაპირ ერთი ხილით მოვაჭრე ვაჟბატონი ხილით ვაჭრობას არ ჯერდება და ბილეთებში მონაგები ფულით უნდა ჯიბე გაისქელოს, დაიდგმება თუ არა კარგი პიესა, რამდენიმე ათეულ ბილეთს იყიდის და მერე ერთიორადა ჰყიდის.

საჭიროა ამ მოვლენას თეატრის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს. **ხელოსანი.**

---

**ღ. ჭიათურა.** კვირას, 28 ნოემბერს, ადგ. დრამ. საზ. სცენის მოყვარეთა დასის მიერ, ქ-ნ ქილარჯიშვილის მონაწილეობით, წარმოადგინეს „უბედური ნაბიჯი“, თარგმანი შ. დადიანისა. და გ. ერისთავის „უჩინ-მაჩინის ქუდი“.

„უბედური ნაბიჯი“ აქაურ სცენაზე მეორედ იდგმება, მაგრამ ჭიათურის საზოგადოებას ეს პიესა არ მოსწყინდება თუნდ ათჯერაც წარმოადგინონ. მოთამაშეებმა სუსტად ჩაატარეს თავიანთი როლები, ორი-სამის გარდა. განსაკუთრებით კარგი იყო. (ვარვარას როლში) ქ-ნი ქილარჯიშვილი მან ისე გრძნობიერად შეასრულა როლი, რომ თითქმის უნაკლულო იყო.

კარგები იყვნენ ტარუაშვილი და წუწუნავა თავიანთ როლებში. დანარჩენებმა როლები არ იცოდენ. ბევრი აცინა საზოგადოება „უჩინ მაჩინი“-ს ქუდმა“. კარგები იყვნენ ტარუაშვილი ალის როლში და ვანილი—კიკოლიკას როლში ეტყობა საქმის გასაუმჯობესებლად დრამატიული გამგეობა ენერგიას არ ზოგავს. მან ამ სეზონისთვის ქ-ნი ქილარჯიშვილი მოიწვია. **მლაშელი.**

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**საბერძნეთი.**

ათინაში უკვე დასრულებულა ეროვნულ კრების არჩევნები. გამარჯვება დეპეშის მოკლე ცნობით, მთავრობას დარჩენია. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს, საჭიროა თვალი გადავავლოთ საბერძნეთის ახლანდელს მდგომარეობას.

თსმალეთი და ბულგარია საომარ სამზადისშია და საზოგადოდ ბალკანეთის მთელს ნახევარ კუნძულზე საქმეები აყეწილია, პოლიტიკური ცა მოღრუბლულია და ჭაერში სისხლის სუნი ტრიალებს.

საბერძნეთი კი ამ დროს დასუსტებულია, რადგან სხვა და სხვა პარტიისა და დიდების მოყვარე პირთა შეუწყვეტელ ბრძოლით, ქვეყნის კულტურული მუშაობა შეჩერდა და საბერძნეთის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ერთიანად გაუფერულდა.

ახლანდელი პრემიერი ვენიზელოსი ყურადღებას სწორედ ამას აქცევს და ზომებს იღებს,—გადაახსნას სამშობლოს ავგიევების ხლის შემშლელნი დაბრკოლებანი. ჯერ კიდევ არჩევნების წინად მან საჯაროდ აღიარა თავისი პოლიტიკური მრწამსი. მისის აზრით უმთავრესი ყურადღება უნდა შინაურ რეფორმებს მიექცეს, რომლებიც იქმნებიან არა მარტო ეკონომიურ ხასიათისა. საჭიროა სრული განახლება პოლიციისა, საზოგადო სწავლების განსაზღვრა მხოლოდ კლასიკურ განათლებით და მთავარ ადგილის დათმობა „პრაქტიკულ“ ცოდნათა მისაღებად, რისთვისაც უნდა გაიხსნას სპეციალური აგარარ და სამეურნეო სკოლები. გან ზრახულია სამხედრო და საზღვაო სამინისტროს გაერთიანება და აგრეთვე კანონების გადასინჯვა და სასამართლოს საქმეთათვის ჩქარის მსვლელობის მიცემა.

ერთის სიტყვით, ვენიზელოსის პროგრამა პრაქტიკულია და აზრად აქვს მუდმივ არეულობით მოღლილ სამშობლოს მშვიდობიანს განვითარებას კულტურულად ხელი შეუწყოს. პროგრამაში არ არის ნახსენები დამაზი სიტყვები: „დიდი საბერძნეთი“, საჭიროება „ბრძოლისა საუკუნო მტერთან“, ე. ი. ოსმალეთთან და სწორედ ამან ააღელვა ათინის პოლიტიკანები. როგორც დეპეშამ გვაცნობა, საარჩევნო აგიტაციამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ვენიზელოსის მოკვლაც კი განიზრახეს. ახლა ირკვევა, რომ ამ ბოროტ განზრახვაში წილი სდებია ვენიზელოსის მიერ დათხოვნილ ეროვნულ კრების ზოგიერთს წევრს.

ვენიზელოსის მტრების გამარჯვებას არჩევნებზე უეჭველად უნდა მოჰყოლოდა ჯერ შინაური უთანხმოება. ქვეყნის არეულობა და შემდეგ უთანხმოება და უაზრო ომი ოსმალეთთან, რადგან ამასვე ოცნებობს ბოლგარია და სცდილობს შეთანხმდეს საბერძნეთთან შეერთებულის ძალით ოსმალეთზე იერიშის მისატანად. ამ ომს კი შეეძლება მიეჰყვა „მაკედონიისა“ და „კრიტოსის“ საკითხების ხელ ახლა აღძვრა და სხვა, ბოლოს კი—ევროპის სახელმწიფოთა საერთო ომი.

ასეთი საშიშია ამ პოლიტიკანების განზრახვა, რომლებიც განდიდების სურვილით არიან შეპყრობილნი. მათი პატივ-მოყვარეობა უეჭველია ძვირად დაუჯდებოდა საბერძნეთს, რომლის მხრით ომის დაწყების რაიმე საბაბის მიცემა უნდა ოსმალეთისთვის სასიამოვნოც იქნებოდა, რადგან მას ამ ჟამად სწყურია „ძლევა მოსილი გამარჯვება“ და შეძლებაც მიეცემოდა ადვილად გაექელა დასუსტებული საბერძნეთი.

ამიტომ აღელვებდნენ ევროპის პოლიტიკოსები გაფაციცებით თვალს საბერძნეთის საარჩევნო კომპანიას და ამიტომ არის დამაკმაყოფილებელი არჩევნების შედეგი, რომლითაც გამარჯვება ვენიზელოსის პოლიტიკას ხვდა.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

◀ მშობიარეთათვის ▶

ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ.

ოლგას ქ., ხაზებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღესა და ღამეს. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა ადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—25)

## ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲐᲖᲔ,

ანუ

**ცხოვრება დიდის მოურავის გიორგი სააკაძისა.**

**ანტონ ფურცელაძისა.**

ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1892 წ. მეორე გამოცემისათვის ავტორმა წიგნი შეავსო ახალის ისტორიულის და კრიტიკულის წერილით, რაც წიგნის ბოლოში იქნება დაბეჭდილი. წიგნი 500 გვერდზე მეტი იქნება, დიდის ფორმატისაა. წიგნში იქნება მოთავსებული 20-მდე სურათი XVII საუკ. დიდი მოურავის სურათი, რომელიც რომში იქმნა მოპოვებული ბატონ მიხეილ თამარაშვილისაგან. მასთანვე იქმნება სურათები **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ** პირველის, **ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲘᲡ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ, ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘᲡ**, ქართველთ დიპლომატები ევროპაში, ქართველების **ᲯᲘᲠᲘᲗᲘ**, იმერთა მეფენი **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘ**, ოთხი კათალიკოზი და სხვანი.

რადგანაც ამ წიგნის გამოცემა ძვირად ჯდება, ამიტომ ჯავმართავ ამისთვის ხელის მოწერა, ვინც წინად შემოიტანს ფულს იმისთვის ის ეღირება ერთი მანეთად. წიგნი დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე, კარგს სტამბაში.

აღრესი: ტფილისი, წერა-კითხვის გამგეობა და სოსიკო მერკვილაძის მაღაზია. ჩემი ადრესი: მეღრე თუმანოვის ქუჩა, სახლი N 38. გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე. 2—254—1)

## ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

უოველ დღე, კვირაობის გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გევეხკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ. მილოვებისა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებულ ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიანიც არის.

**ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე: თვიურებს დიეთმობათ.**

(30—181—17) პატრონი ნომრებისა ს. მომცელიძე.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 1910 წ. 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, გამგეობის საკრებულოში

## ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ

**დანიშნული, სატივოზე ბორანის იჯარით გასაცემად.**

პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე გამგეობის კანცელარიაში დილის 10—3 საათამდე (3—249—2)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

## ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗ ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲡ

**პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) და ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარაღანა). ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ ახალი (Зернистая).

—◀ პარკისა და კოლოფებით ▶—

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲝᲨᲔᲑᲘ და ᲖᲣᲠᲒᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (სიომგა)

**მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.**

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—128—45)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

## ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲐᲕᲘ Ი. Ნ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

**ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარგარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

**ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.** (20—127—17

## ᲮᲘᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ

## Გ. ᲚᲐᲦᲘᲫᲘᲡᲐ და ᲐᲛᲮ.

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶

**ქარხნები:** ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—16)




რედაქტორ-გამომცემელი ივლიანე სულაშვილი.